

შპს სმარტ ბიზნეს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მსს ფასს-ზე გადასვლა.....	6
4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
5. ფული და ფულის ექვივალენტები.....	9
6. სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული ავანსები.....	9
7. სავაჭრო ვალდებულებები.....	9
8. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	10
9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	10
10. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	10
11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	10
12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	10
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	11

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31 დეკემბრის მდგომარეობით

<u>აქტივები</u>	<u>შენიშვნა</u>	<u>31-12-21</u>	<u>31-12-20</u>	<u>31-12-19</u>
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	249,241	93,809	75,996
სავაჭრო მოთხოვნები	6	1,013,169	13,730	-
გაცემული ავანსები		30,751	14,674	-
საგადასახადო აქტივი		-	59,828	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,293,161	182,041	75,996
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		24,777	12,236	10,401
სულ გრძელვადიანი აქტივები		24,777	12,236	10,401
სულ აქტივები		1,317,938	194,277	86,397
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	240,462	244,867	313,593
მიღებული ავანსები		23,295	302,788	-
საგადასახადო ვალდებულებები		134,102	-	26,623
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		6,798	289	2,017
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		404,657	547,944	342,233
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები		40,290	86,983	81,594
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		40,290	86,983	81,594
სულ ვალდებულებები		444,947	634,927	423,827
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება/(აკუმულირებული ზარალი)		872,991	(440,650)	(337,430)
სულ საკუთარი კაპიტალი		872,991	(440,650)	(337,430)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,317,938	194,277	86,397

დირექტორი



გიორგი კოფენლუ

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	4,959,048	2,404,025
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(2,923,846)	(1,673,349)
საერთო მოგება		2,035,202	730,676
ხელფასები და სხვა სარგებელი	10	(631,703)	(714,268)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(97,550)	(80,457)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(5,258)	(3,904)
საოპერაციო მოგება		1,300,691	(67,953)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		13,077	(34,872)
მოგება დაბეგვრამდე		1,313,768	(102,825)
მოგების გადასახადი		(127)	(395)
წმინდა მოგება		1,313,641	(103,220)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(აკუმულირებული ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარი	-	(337,430)	(337,430)
წმინდა მოგება		(103,220)	(103,220)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	-	(440,650)	(440,650)
წმინდა მოგება		1,313,641	1,313,641
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	-	872,991	872,991

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სმარტ ბიზნეს ჯორჯია დაფუძნდა 2018 წელს და რეგისტრირებულია მისამართზე: ნაძალადევის რაიონი, იფნის შეს., N12-14/51. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 400247586. კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

კირილო რუდნევი, FG036186 (უკრაინა) - 60%

გიორგი კოფენლუ, 01009018495 - 40%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა მეწარმეებისთვის სამუშაო პროგრამების, ლიცენზიების, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, მართვა და პროგრამული უზრუნველყოფა. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი - გიორგი კოფენლუ (პ/ნ 01009018495).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. მს ფასს-ზე გადასვლა

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მს ფასს-ის შესაბამისად. მს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2021 წლის 1 იანვარი.

მს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა ნებადართული გამონაკლისები.

4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და

ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	2-8
ავეჯი და სხვა ინვენტარი	

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით,

კომპანიების მოგება იზეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაკვეთის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

4.4 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ შემოსავალი უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

4.6 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე.

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-21	31-12-20
ეროვნული ვალუტა	248,599	18,734
უცხოური ვალუტა	642	75,075
სულ	249,241	93,809

6. სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული ავანსები

ცხრილებში წარმოდგენილია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 5 ყველაზე მსხვილი დებიტორებისა და მომწოდებლებთან გადახდილი ავანსების ჩაშლა კონტრაგენტებად, რაც ჯამურად შესაბამისი აქტივების 90%-ზე მეტს წარმოადგენს.

	2021	2020
სულ 5 ყველაზე მსხვილი დებიტორი	1,006,868	4,830
სხვა	6,301	8,900
სულ	1,013,169	13,730

7. სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები ძირითადად შედგება ლიცენზიებით და საავტორო უფლებებით მოვაჭრე კომპანიების დავალიანებებისგან.

8. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანია შემოსავალს აგენერირებს სხვადასხვა მეწარმეებისთვის პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების მიწოდებით. 2021 წელს კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა შემოსავლები, რაც ძირითადად განპირობებული იყო კომპანიის ბრენდის ბაზარზე ცნობადობის ამაღლებით, აღნიშნულ სერვისზე მოთხოვნისა და კმაყოფილი მომხმარებლების რაოდენობის ზრდით.

9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევისთვის საჭირო ლიცენზიებისა და უფლებების ღირებულებებს.

10. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი	2021	2020
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სარგებელი	175,309	279,148
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული სარგებელი	456,394	435,120
სულ	631,703	714,268

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია ცხრილში:

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2021	2020
მივლინების ხარჯი	881	1,486
თანამშრომლის სარგებელი	9,844	8,335
იჯარის ხარჯი	45,000	38,125
კომუნალური ხარჯები	10,247	7,844
სხვა საერთო ხარჯი	31,578	24,667
სულ	97,550	80,457

12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2021 წელს დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებმა ჯამში შეადგინა 175,309 ლარი, ხოლო 2020 წელს - 279,148 ლარი.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.